



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 67

28 დეკემბერი 2020 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ლევან ახალმოსულიშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის, განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე ლევან ახალმოსულიშვილს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 1 (ერთი) წლის ვადით გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თელავში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.20.45.080).
2. საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს 1200 (ათას ორასი) ლარით.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. N41).

საკრბულოს თავმჯდომარე



[Handwritten signature]

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 41
28 დეკემბერი 2020 წ.
ქ. თელავი

[Faint, illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page]